განკარგულება:**გ-63. 632335911**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის~ 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსი"-ს თავი III, მუხლი 16-ე, პუნქტი-2 „ი" ქვეპუნქტი და პუნქტი 3, პუნქტი 4, თავი IV, მუხლი 24 პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის~ 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და გადაწყვიტა:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის პროგრამა. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის შემოსავალი. (დანართი N**2).**

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის ხარჯები .(დანართი N3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი. (დანართი N4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის სახელფასო ფონდი სპეც. შემოსავლებიდან. (დანართი N5).

6. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული)იურდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" 2024 წლის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სახელფასო განრიგი და ფონდი. (დანართი N6).

დანართი N1

ა.(ა).ი.პ. ,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის''

2024 წლის პროგრამა

აღწერა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ს, რომლის მიზანია: ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ხარისხიანი სკოლის გარეშე, არაფორმალური და დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. ს.კოდი 238773644, რომელიც 24 დასახელების სხვადასხვა წრეში აერთიანებს 500-მდე მოსწავლეს (მ.შ. ვაჟი - 177, გოგონა - 323). ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებას და მორგებულია მოზარდთა გამოწვევებსა და ინტერესებზე. დასაქმებულია 56 სხვადასხვა სპეციალობის მუშაკი.

უცვლელია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფუნქცია. იგი იყო და არის მოზარდის თავისუფალი დროის შემოქმედებითად გატარების ადგილი, არაფორმალური განათლების კერა, რომელიც ავსებს და სისხლსავსეს ხდის ფორმალურ განათლებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზებას, ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერას, ჩართულობას, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას, ინტელექტის ამაღლებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისათვის საჭირო გარემოს შექმნას.

მ ი ზ ა ნ ი - ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ის ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას. ხარისხიანი განათლების მიცემას თავისი ბენეფიციალებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის პოტენციალის განვითარებას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, რათა შეეძლოთ პროექტების მართვა, ღონისძიებების მენეჯმენტისთვის აუცილებელი უნარების განვითარება. საქმიანი კავშირების გაფართოება. საჯარო სკოლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება, კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში. შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტების ფინანსური მხარდაჭერა. დაეხმარება ახალგაზრდებს პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

გაიზრდება სასწავლო შემეცნებითი, გასართობი ღონისძიებებით მოსწავლეთა ჩართულობის გეოგრაფიული არეალი. სახლის მუშაობის ყველა მიმართულოების მისაწვდომობა, შემოქმედი ბავშვების აქტივიზაცია რეგიონალურ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში, ოლიმპიადებში, გაცვლით პროგრამებში. სკოლის გარეშე არაფორმალური დამატებითი განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის (ყველა ნებისმიერი ახალგაზრდისათვის 6-დან 18 წლამდე).

განხორციელდება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად სიახლეებსა და ახალ პროექტებზე მუშაობა.

სწრაფად და დროულად უპასუხოს საგანმანათლებლო სფეროში არსებულ გამოწვევებს, რომ შექმნას კეთილგანწყობილი გარემო, რაც მისცემს მოსწავლე-ახალგაზრდობას საკუთარი არჩევანის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

შუალედური შ ე დ ე გ ი - მოსწავლე ახალგაზრდებში შემოქმედებითობის,საჯარო გამოსვლისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება.

მოსალოდნელი საბოლოო შ ე დ ე გ ი - დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება, განვითარება,კრეატიულობის, საკუთარი თავის, მშობლიური კუთხის ისტორიის, კულტურის წარმოჩენა და თვითრეალიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე შესწავლა და პოპულარიზაცია.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის

ჩათვლით)

N	შემოსავლების დასახელება	თანხა (ათ. ლარებში)
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	300.0
2	საკუთარი შემოსავლები	16.00
2.1	სხვადასხვა წრეებიდან შემონატანი	16.00
	ჯამი	316.0

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი'' 2024 წლის ხარჯები

ათას ლარებში

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
	0403	ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	316,00	300,00	16,00
		მომუშავეთა რიცხოვნობა	55	55	
2		ხარჯები	291,00	275,00	16,00
2.1		შრომის ანაზღაურება	243,40	238,70	4,70
2.2		საქონელი და მომსახურება	46,50	35,20	11,30
2.7		სოციალური უზრუნველყოფა	1,10	1,10	0,00
31		არაფინანსური აქტივების ზრდა	25,00	25,00	0,00
31.1		ძირითადი აქტივები	25,00	25,00	0,00

დანართი N 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' 2024 წლის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის გაანგარიშება

		საშტატო		**ერთი**	**წლიური**

N	თანამდებობის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	თვის სახელფასო ფონდი	სახელფასო ფონდი
1	დირექტორი	1	1375	1375	16500
2	მოადგილე	1	990	990	11880
3	ბუღალტერი	1	968	968	11616
4	მხატვარ-დეკორატორი	1	610	610	7320
5	ღონისძიებების ორგანიზატორი	1	264	264	3168
6	საინფორმაციო მენეჯერი	1	247	247	2964
7	ტურიზმის სპეციალისტი	1	247	247	2964
8	ფონდების მოძიების სპეციალისტი	1	247	247	2964
9	მიმდინარე რემონტის მუშა	1	247	247	2964
10	ბიბლიოთეკარი	1	242	242	2904
11	მუსიკის ოპერატორი	1	236	236	2832
12	საქმის მწარმოებელი	1	236	236	2832
13	იურისტ კონსულტანტი	1	220	220	2640
14	ექთანი	1	220	220	2640
15	სამეურნეო ხელმძღვანელი	1	253	253	3036
16	დამლაგებელი	2	396	792	9504
17	დარაჯი	2	363	726	8712
18	ისტორია მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
19	ფრანგული ენის წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
20	ინგლისური ენის წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
21	გერმანული ენის წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
22	ნორჩ ეკოლოგთა წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
23	ინგლისური ენის წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
24	მათემატიკის წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
25	ქსოვა ქარგვის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
26	მაკრამის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
27	ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
28	ხალხური საკრავების შემსწავლელი წრის	1	247	247	2964

	ხელმძღვანელი				
29	ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	335	335	4020
30	სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
31	ქორეოგრაფი	1	220	220	2640
32	ვოკალური წრის ხელმძღვანელი	1	247	247	2964
33	ჟურნალისტიკის წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
34	ფორტეპიანოზე ზეპირი დაკვრის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
35	წიგნის მოყვარულთა წრის ხელმძღვანელი	1	203	203	2436
36	სამოქალაქო ეკონომიკის წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
37	საგალობელთა შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	220	220	2640
38	თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი	1	220	220	2640
39	მოსწავლეთა თეატრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
40	საბიბლიოთეკო წრის ხელმძღვანელი	1	242	242	2904
41	ბიბლიიის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	220	220	2640
42	სამხატვრო ხელმძღვანელი ანსამბლი ''ლილე''	1	247	247	2964
43	ქორეოგრაფი ანსამბლი ''ლილე''	1	247	247	2964
44	დიზაინის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი	1	236	236	2832
45	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მთავარი სპეციალისტი	1	693	693	8316
46	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წამყვანი სპეციალისტი	1	665	665	7980
47	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი	1	627	627	7524
48	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი	5	588	2940	35280
49	მეთოდისტი	1	330	330	3960
	სულ	**55**		**19887**	**238644**

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' საკუთარი

შემოსავლებიდან

2024 წლის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშება

N	წრეების დასახელება	თანამშ. რ-ბა	1 თვის სახელ ფასო ფონდი	წლიური სახელფას ო ფონდი
1.	ქორეოგრაფიული ანსამბლი `ლილე~			
	ხელმძღვანელი	1	200	1600
	სამხ. ხელმძღვანელი	1	170	1360
	ქორეოგრაფი	1	130	1040
	სულ	**3**	**500**	**4000**
2.	ფოლკლორული გაერთიანება (ჩანგი+ალილო)			
	ხელმძღვანელი	1	160	160
3.	ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება `ორუდილა~			
	ხელმძღვანელი	1	130	130
	სამხ. ხელმძღვანელი	1	130	130
	ქორეოგრაფი	1	130	130
	სულ	**3**		**390**
4.	`ფანტაზია~ - სამეჯლისო ცეკვების			
	ხელმძღვანელი	1	130	130
		1		130
		8		**4680**

დანართი N 6

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2024 წლის სახელფასო განრიგი და სახელფასო ფონდის გაანგარიშება

N	თანამდებობის დასახელება	თანამშრომელ თა რაოდენობა	ერთი თვის სახელფა სო ფონდი	წლიური სახელფას ო ფონდი
1	შესყიდვების სპეციალისტი	1	495	5940
	სულ	1		5940

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი